საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10095/01
24/09/2021

10095-01-2-202109240014

შპს „გლობალ კომპანის“ დირექტორს,
ბატონ ხვიჩა ჯაფარიძეს (პ/ნ 47001009518)
მის: ახალციხე, თამარაშვილის ქ. №2

ბატონო ხვიჩა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 აგვისტოს N16649 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას.

როგორც სამინისტროს მიმდინარე წლის 13 აგვისტოს N8612/01 და პირველი სექტემბრის N9295/01 წერილებით გეცნობათ, წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიას უკანა მხრიდან, დაახლოებით 14 მეტრში, ესაზღვრება მდ. ფოცხოვი (ფოცხოვისწყალი), ხოლო „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების დროს გათვალისწინებულია და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

გაცნობებთ, რომ „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში შემდეგი წესით: ა) 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 10 მეტრი. ბ) 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 20 მეტრი. გ) 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 30 მეტრი. დ) 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის - 50 მეტრი. შესაბამისად, ვინაიდან მდ. ფოცხოვისწყალის (ფოცხოვი) სიგრძე 64 კმ-ია, მისი წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოხსენებული კანონით და ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები. შესაბამისად,

სკრინინგის განცხადებაში დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე